community

The New Apostolic Church around the world

04/2025/GE

გულის ენა

რედაქციისგან
ვაკეთოთ სიკეთე ნებისმიერ სიტუაციაში

ღვთისმსახურება
„ჭეშმარიტების სული“

საეკლესიო მოძღვრება
მონანიება - მოქცევა ხსნის გზაზე

New Apostolic Church
International

რედაქციისგან

3 ვაკეთოთ სიკეთე ნებისმიერ სიტუაციაში

ღვთისმსახურება

4 „ჭეშმარიტების სული“

საბავშვო კუთხე

10 იესოს დაბადება

12 სტუმრად ჯოშუასთან გერნზის კუნძულზე (ნორმანდიის კუნძულები)

დოქტრინა

14 მონანიება - მოქცევა ხსნის გზაზე

Global News

18 რა ხდება ეკლესიაში ამჟამად

23 სიყვარულით. ნდობით. ღმერთთან ერთად

- თავფურცელი: ჯესიკა კრემერი:
- უკანა გვერდის ფოტო: ფრანკ შულდტი/დასავლეთ გერმანიის ახალსამოციქულო ეკლესია

ვაკეთოთ სიკეთე ნებისმიერ სიტუაციაში

ფოტო: საერთაშორისო ახსნ

შენ სიკეთის კეთებისკენ ხარ მოწოდებული - ეს ალბათ გაცილებით იოლია მაშინ, როცა მშვენიერებითა და სიკეთით ტკბობა შეგვიძლია. თუმცა ზოგი სულაც არ გრძნობს თავს ასე, შეიძლება ჯანმრთელობის პრობლემები აქვს, ან პრობლემები აქვს ბავშვებთან, ოჯახთან დაკავშირებით, შეიძლება ფინანსური ან სამსახურებრივი პრობლემები აწუხებს. და მაინც, ნებისმიერი ადამიანი სიკეთის კეთებისკენ არის მოწოდებული. იესო მიდის იმასთან, ვისაც პრობლემები და სანერვიულო აქვს, და ეუბნება: „მე აქ ვარ, ნუ ღელავ. მე ვიზრუნებ შენზე, დაგეხმარები. მაგრამ, გთხოვ, ამ მძიმე დღეებშიც ნუ დაივიწყებ შენს ხსნას. ნუ დაივიწყებ შენს მოწოდებას, შენთვის პრიორიტეტული შენი ხსნა უნდა იყოს. და შეეცადე ამ მძიმე დღეებში, ამ განსაკუთრებულ სიტუაციაში, ნებისმიერი პრობლემის მიუხედავად, სიკეთე აკეთო.“

ზოგიერთი ერთმორწმუნე და-ძმა ამჟამად გაურკვევლობაშია. ჩემთვის ეს გასაგებია. როცა ყველა იმ რყევების მომსწრენი ვხდებით, რაც მსოფლიოში, საზოგადოებაში ხდება, გარკვეული შფოთი შეიძლება დაგვეუფლოს. ზოგს შიში იპყრობს იმის გამო, რაც ელოდება და კითხულობს, რა გაგრძელება მოჰყვება ამას. იესო თქვენთანაც მოდის და გეუბნებათ: „მე აქ ვარ, ნუ ღელავ. ყველაფერს ვაკონტროლებ. მე ბოლომდე მივიყვან ჩემს გეგმას. დავასრულებ ჩემს საქმეს. მე ჩემსას გავაკეთებ. მაგრამ, გთხოვ, ნუ დაივიწყებ შენს ხსნას, შენ სიკეთის კეთებისკენ ხარ მოწოდებული.“

გულითადი მოკითხვებით, თქვენი

ჟან-ლუკ სნაიდერი

“ჭეშმარიტების სული“

ფოტოზე: სიმონ კისელბახი, ფრანკ შულტე/დასავლეთ გერმანიის ახსე

პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა სულთმოფენობისადმი მიძღვნილი ღვთისმსახურება ვისბადენში (გერმანია) ჩაატარა

იოან. 16, 13:

„ხოლო როდესაც მოვა იგი, ჭეშმარიტების სული, წაგიძღვებათ ყოველი ჭეშმარიტებისკენ.“

სულთმოფენობაზე ხალხს სულიწმიდა-ღმერთი გამოეცხადა. სულიწმიდის გარდამოსვლით იესოს მიერ მოწაფეებისათვის მიცემული აღთქმაც აღსრულდა. მან უწინასწარმეტყველა მათ და შეჰპირდა, რომ გამოუგზავნიდა ნუგეშისმცემელს, რომელიც მხარს დაუჭერდა, დაეხმარებოდა და წარმართავდა მათ. სულთმოფენობიდან მოყოლებული სულიწმიდა-ღმერთი ქრისტეს ეკლესიაში მოქმედებს და ღვთიურ ჭეშმარიტებას იუწყება - განსაკუთრებით იქ, სადაც მოციქულები მოღვაწეობენ. სულიწმიდა ჭეშმარიტებაზე ლაპარაკობს და ჭეშმარიტებაში შევყავართ. სულიწმიდა სიმართლეს გვეუბნება ღმერთზე. იგი იესო ქრისტეზე მოწმობს. სულიწმიდის მოწმობა საკმაოდ ნათელი და მარტივია: იესო ქრისტე ჭეშმარიტი ღმერთია. ვინც ხედავს და უსმენს იესო ქრისტეს, ხედავს და უსმენს ღმერთს. ღმერთი სინამდვილეში ისეთია, როგორიც იესო ქრისტე იყო. რა თქმა უნდა, ღმერთი შემოქმედებაში გამოცხადდა.

ძველ აღთქმაში გამოცხადდა იგი. მაგრამ ღმერთის ჭეშმარიტი არსის შეცნობა მხოლოდ იესო ქრისტეს სიტყვებში, საქმეებში და მის არსში შეიძლება.

ყოველთვის ვწუხვარ, როცა ვამჩნევ, რომ ბევრი ქრისტიანი ღმერთს ჯერ კიდევ ისეთს ხედავს, როგორც იგი ძველ აღთქმაში გამოცხადდა. მკაცრი ღმერთი, რომელიც წესებს ადგენს. დამსჯელი ღმერთი, რომელიც კლავს იმათ, ვინც მის მხარეს არ არის. გთხოვთ, ძვირფასო ძმებო და დებო მთელ მსოფლიოში, ეს არ არის ჩვენი ღმერთი! ჩვენთვის ნათელია: ჭეშმარიტი ღმერთი ისეთია, როგორიც იესო ქრისტეა. ღმერთს იესო ქრისტეს სიტყვებში, საქმეებში და მის არსში შევიცნობთ. თუ ღვთის ნების გაგების სურვილი გვაქვს, ის არ უნდა ვეძებოთ ძველ აღთქმაში, არც შემოქმედებაში, არც ვარსკვლავებში ან კიდევ სხვაგან სადმე. ღვთის ნება ჩვენთვის იესო ქრისტეს სახარებაა.

> ღმერთი ასრულებს, რასაც გვპირდება. ის ყოველთვის იცავს თავის აღთქმებს.

და როცა ღვთის შემწეობას ვეძებთ, არ უნდა ვეძებოთ ის ადამიანებში ან ისეთ მოვლენებში, რომლებშიც ზებუნებრივი ძალა იქნებოდა ძლიერი და მოქმედი. შემწეობას ჩვენ იესო ქრისტესთან ვეძებთ: აქ ევროპაში, აფრიკაში, მთელ მსოფლიოში. ჩვენი შემწე და დამხმარე იესო ქრისტეა და არა რომელიმე ადამიანი, არა ისეთი რამ, სადაც ზებუნებრივი ძალები შეიძლება ამოქმედდნენ. ღვთის ნებას იესო ქრისტეს სახარებაში ვეცნობით და არა ადამიანებთან ან კიდევ სხვაგან სადმე. სულიწმიდას ჭეშმარიტებაში შევყავართ. მოდით, მტკიცედ ვიდგეთ ამ რწმენაში: იესო ქრისტე ჭეშმარიტი ღმერთია.

სულიწმიდა სიმართლეს გვეუბნება. ის იცავს თავის პირობას. ის გვეუბნება: „მიენდე ღმერთს, ის სარწმუნოა, ის ზუსტად აღასრულებს იმას, რასაც დაგპირდა.“ მაგრამ ახლა ერთი რამ უნდა გავიგოთ კარგად: ღვთიური ჭეშმარიტება ყოველთვის საუკუნო სიცოცხლეს უკავშირდება. სულიწმიდის მოძღვრება საუკუნო სიცოცხლეს უკავშირდება. რატომ ვამბობ ამას? ვინაიდან რამოდენიმეჯერ დაველაპარაკე დებსა და ძმებს, რომლებიც ძალიან იმედგაცრუებულნი იყვნენ. მათ ჰქონიათ პრობლემა, შემდეგ მისულა მათთან მღვდელმსახური, სასულიერო პირი, და უთქვამს: „ნუ ნერვიულობ, ყველაფერი კარგად იქნება“ - მაგრამ ასე არ მოხდარა. აღთქმა არ შესრულებულა. საყვარელო და-ძმანო, რატომ თქვა სასულიერო პირმა ასე? პირადად მე ამას ასე ვხედავ: ამ სიტყვებით მას შემდეგის დამოწმება სურდა: „მე ვიზიარებ შენს ტანჯვას, ვიმედოვნებ, ვლოცულობ და მინდა, რომ ღმერთმა ახლა შეასრულოს ის, რასაც ვთხოვთ მას.“ და სინამდვილეში ხშირად ასეც ხდება. მაგრამ ღმერთმა შეიძლება ესეც თქვას: „არა, მე სხვა რამ მაქვს გეგმაში.“ ამის ახსნა და გაგება არ შეგვიძლია, მაგრამ ამან არ უნდა დაგვაეჭვოს ღვთიურ სიყვარულში. ღვთიური ჭეშმარიტება ყოველთვის და განსაკუთრებულად საუკუნო სიცოცხლეს უკავშირდება. ღმერთი ასრულებს დანაპირებს. ის მუდამ დაიცავს თავის აღთქმებს. და ვინც შეასრულებს იმას, რაც იესო ქრისტემ გვასწავლა, არასოდეს დარჩება იმედგაცრუებული, ის საუკუნო სიცოცხლის მიაღწევს.

მეორე პუნქტი, რომელიც ამ სულთმოფენობაზე უნდა დავიმახსოვროთ: ღმერთი ჭეშმარიტია, ის სარწმუნოა. ის დაპირებულ საუკუნო სიცოცხლეს მოგვანიჭებს. იგი ბოლომდე მიიყვანს თავის საქმეს და ვერაფერი შეუშლის მას ამაში ხელს. თუ მწამს იესო ქრისტესი და მივსდევ მას, საუკუნო სიცოცხლეს მივაღწევ. ღმერთი ჭეშმარიტებაა, ის ასრულებს იმას, რასაც გვპირდება.

გუნდი დასავლეთ გერმანიის სამხ. ეკლესიის ახალგაზრდებისგან იყო ჩამოყალიბებული.

ვიზრუნოთ იმაზე, რომ ჩვენი „კი“ „კი“-დ დარჩეს: „კი“ ღმერთს, „არა“ - ბოროტს.

დღეს ჭეშმარიტება პრობლემად იქცა მსოფლიოში. იმჟამადაც ასე იყო, გავიხსენოთ პილატე. როცა იესოს დაკითხვა მიმდინარეობდა, ჰკითხა: „რა არის ჭეშმარიტება?“ (იოან. 18, 38). ჭეშმარიტება დღეს ბევრისათვის, ბევრი ადამიანისათვის, პრობლემაა. რეალობა სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი და განმარტებული. ეს ფაქტია და მის წარმოსადგენად და მისი განმარტებისათვის ასობით გზა არსებობს. იმდენი ადამიანია დღეს გაურკვეველ მდგომარეობაში. მაშ, რა არის ჭეშმარიტება? ბევრი ადამიანი დარწმუნებულია, რომ სიმართლეს არ გვეუბნებიან - ამის უკან რაღაც იმალება. ეს კი იმას განაპირობებს, რომ ინფორმაციებს იმათგან იღებენ, ვინც სინამდვილეში მხოლოდ იმას ეუბნება, რისი მოსმენაც მათ სურთ. და ახლა, ჩემი შეზღუდული გამოცდილებით, რაც მსოფლიო მასშტაბით მივიღე, ვხედავ, რომ ყველგან ასეა! ამ უნდობლობის გამო ადამიანებს მხოლოდ იმის მოსმენა უნდათ, რისი მოსმენაც სურთ. სხვა დანარჩენი არ აინტერესებთ. ეს კი იწვევს იმას, რომ საზოგადოება სულ უფრო იხლიჩება.

რა არის ჭეშმარიტება? ძმაო, დაო, იესო ქრისტეს სახარება, აი ეს არის ჭეშმარიტება. ის ყოველთვის იყო ჭეშმარიტება და სამუდამოდ ჭეშმარიტებად დარჩება. იესო ქრისტეს სახარება - მსოფლიოს და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს სახარების შუქზე ვხედავთ. სახარების შუქზე ვხედავთ ჩვენს თანამოძმეებს. ჩვენს ცხოვრებას ვხედავთ სახარების შუქზე. სახარების შუქზე ვხედავთ მომავალს, ჩვენს მომავალს და მსოფლიოს მომავალს. მოდით, მტკიცედ მივყვეთ ამ პუნქტს: სახარება ჩვენთვის ჭეშმარიტებაა და ამ ჭეშმარიტებას მტკიცედ დავიცავთ და ჩვენს გადაწყვეტილებებს, ჩვენს ცხოვრებას ამ ჭეშმარიტების მიხედვით წარვმართავთ.

სულიწმიდა ჩვენზეც სიმართლეს გვეუბნება. მაშინვე ასეთი აზრი ჩნდება: ოჰ, მართლაც, საქმე კარგად არ არის ახლა. სულიწმიდა იესო ქრისტეზე მოწმობს. ის თავის დიდებას, სრულყოფილებას გვიჩვენებს. და თუ მთლად შტერი და არაგულწრფელი არ ვიქნები საკუთარი თავის

ქვემოთ: სამხ.მოციქულები პიოშელი, ლამბერტი, შულტე, კრაუზე, ეკჰუია და ერიხი (მარცხნიდან მარჯვნივ)

მიმართ, მაშინ უნდა ვაღიარო: ო, ამისგან ჯერ კიდევ საკმაოდ შორს ვარ. და ეს ასეა: სულიწმიდა გვაცნობიერებინებს, რომ არასრულყოფილები ვართ. ის გარკვევით გვეუბნება: წყალობის გარეშე ვერ გადარჩები. მაგრამ იმასაც გვეუბნება, თუ როგორ მოვიპოვოთ წყალობა. სულიწმიდა გვიჩვენებს, თუ როგორები ვართ სინამდვილეში. დიახ, ჩვენ არასრულყოფილები ვართ, წყალობა გვჭირდება, წყალობას ამ გზაზე მივაღწევთ. მაგრამ სულიწმიდა ჩვენზეც გვეუბნება სიმართლეს. სიმართლეს შენზე და ყველაზე. ის გვეუბნება: ღმერთს უყვარხარ, ზუსტად ისეთი, როგორიც დღეს ხარ. ღმერთს უყვარხარ, ღვთის ძემ შენთვის გაიღო მსხვერპლად თავი. ღმერთს უყვარხარ. როცა ყველა უარგყოფს და განგსჯის, ყურს ნუ დაუგდებ მათ, ღმერთს მოუსმინე: მას უყვარხარ. ეს არის ჭეშმარიტება. შენ ღვთის საყვარელი შვილი ხარ. სულიწმიდა სიმართლეს გვეუბნება.

სულიწმიდა მარტო იმას კი არ გვეუბნება, რა უნდა გავაკეთოთ, არამედ იმასაც, თუ რისი გაკეთება შეგვიძლია. რამოდენიმე კვირის წინ ახალგაზრდების ერთ ჯგუფთან მქონდასაუბარი.ერთმაერთმორწმუნე დამ მკითხა: „პირველმოციქულო, გვითხარი, როგორ ამოვიცნო ის ნიჭები, რომლებიც ღმერთმა მიბოძა? რა თქმა უნდა, როცა ვინმე კარგად მღერის, მაშინ ამის მიხვედრა ძნელი არ არის: ო, ღმერთმა მას სიმღერის ნიჭი უბოძა - ჩემს შემთხვევაში აშკარად არ არის ასე.“ მაშინ მე ახალგაზრდებს ვუთხარი: „ეს ძალიან მარტივია: უბრალოდ ის გააკეთე, რასაც ღმერთი შენგან ითხოვს.“ ღმერთი სიმართლეს გეუბნება, და თუ იმას გააკეთებ, რასაც ღმერთი შენგან ითხოვს, ნახავ, თუ რამდენი ნიჭი გქონია. ნახავ, რომ შეგიძლია გააკეთო ის, რასაც ღმერთი შენგან ითხოვს. მაშინ შენი ურთიერთობა ღმერთთან წესრიგში იქნება. თუ ღმერთთან მიხვალ და ეტყვი: „აჰ, მოწყალეო ღმერთო, მე კარგად ვმღერი, როგორ შემიძლია გემსახურო?“ ამ დროს შენ თავად განსაზღვრავ შენს მსახურებას. მაგრამ, თუ მიხვალ ღმერთთან და ეტყვი: „ღმერთო, რას მოელი ჩემგან?“ ამ დროს ღმერთი შეგახსენებს: „მე ბოლო ღვთისმსახურებაზე გითხარი, გააკეთე ესა და ეს.“ მაშინ ნახავ, რომ ამის კეთება შეგიძლია და იმ ნიჭსაც აღმოაჩენ შენში, რომელიც არც კი იცოდი, რომ გქონდა.

ვიცი, ეს ძველი ახალსამოციქულო მოძღვრებაა: ღმერთი ქადაგების დროს სარკეს გვიჩვენებს და გვეუბნება: „ჩაიხედე.“ ეს ჯერ კიდევ ასეა. საყვარელო და-ძმანო, ღმერთი საკუთარი თავის შეცნობაში გვეხმარება. ამას ის ძირითადად ქადაგების სიტყვის მეშვეობით აკეთებს. მოდით, გავითავისოთ იგი და შესაბამისად მოვიქცეთ. ღვთისმსახურების დაწყებამდე ძმების ოთახში ვიყავი. იქ დავინახე, რომ - როგორც ეს მთელ

მსოფლიოშია უმეტეს შემთხვევაში - ჩემი სურათი ეკიდა კედელზე, თორმეტი წლის წინანდელი სურათი, როცა ხელდასხმით მაკურთხეს. როგორც წესი, მის გვერდით სარკე ჰკიდია ხოლმე, რაც იმის გაცნობიერებაში დამეხმარა, თუ რამდენი დრო გასულა. თქვენ ალბათ გესმით ჩემი: როცა სურათს ვუყურებ, იქ ჯერ კიდევ ახალგაზრდულად გამოვიყურები. მაგრამ ეს არ არის რეალობა, ასეთი არ ვარ. ღმერთი სარკეში გვიჩვენებს, თუ როგორები ვართ დღეს. ქადაგებაში ის სიმართლეს გვეუბნება ჩვენზე და კიდევ ერთხელ გთხოვთ: მოდით, შევეცადოთ და ქადაგება პრაქტიკულად განვახორციელოთ. ეს არის სიმართლე ჩვენს შესახებ.

პირველმოციქულის თანაშემწის, ჰელგე მუჩლერის დანიშვნა

სულიწმიდას სურს დაგვეხმაროს, რომ მართალნი და ქრისტეს ჭეშმარიტი მოწაფენი ვიყოთ. ღმერთი ჭეშმარიტია, ის სარწმუნოა, ის ასრულებს დანაპირებს. ჩვენც შევპირდით ღმერთს რაღაცეებს. მოდით, უარი ვუთხრათ ბოროტს და რწმენითა და მორჩილებით გავყვეთ იესო ქრისტეს. ვიზრუნოთ იმაზე, რომ ჩვენი „კი“ „კი“-დ დარჩეს: „კი“ ღმერთს, „არა“ - ბოროტს. მოდით, ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევრები ვიყოთ და ასეთად დავრჩეთ.

იმდენ დროსა და ენერგიას ხარჯავენ დღეს ადამიანები საკუთარი თავის წარმოსაჩენად ისე, როგორც სურთ, რომ სხვებმა აღიქვან ისინი. თქვენ

სამხ. მოციქულები და მათი თანაშემწეები მარცხნიდან მარჯვნივ: მხვანაცი, ჩისეკედი, თარჯიმანი მიულერი, ერნსტი (არ ჩანს), ისნუგროჰო, ვოლი (არ ჩანს) სამხ. მოციქული შნაბელი, სამხ. მოციქული მინიო, მუჩლერი, სამხ. მოციქული დოიბელი (არ ჩანს)

იცით, ეს პრობლემაა ჩემთვის. საკმაოდ ბევრ დროსა და ენერგიას ხარჯავენ საკუთარი თავის წარმოსაჩენად. უნდათ, რომ სწორედ ასეთები დაინახონ. ადამიანებს სურთ, რომ თავი მოაწონონ სხვებს, რომ შეამჩნიონ ისინი, აღიარონ და პატივი სცენ. ჭეშმარიტი ქრისტიანი კი ცდილობს, ღმერთს მოაწონოს თავი. მისთვის მიცემულ დროს და ღვთისგან მიღებულ ძალასა და ენერგიას ის იმისათვის იყენებს, რომ ქრისტეს ხატად იზარდოს. მისი უპირველესი სურვილია, მოეწონოს ღმერთს. მას სურს, იყოს იესო ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევარი. ძვირფასო და-ძმანო, ეს არის უკანასკნელი პუნქტი, რომელსაც ამ სულთმოფენობაზე მინდა შევეხო: მოდით, იესო ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევრები გავხდეთ. სულიწმიდა დაგვეხმარება საკუთარი თავის შეცნობაში და შეცვლაში. მას ჩვენი გარდაქმნა სურს, რამეთუ სულ უფრო მეტად დავემსავსოთ იესო ქრისტეს. ეს არის სულიწმიდის საქმე. ის სიმართლეს გვეუბნება ღმერთზე, თანამოძმეებზე, მომავალზე და ჩვენზე. ამინ.

პირველმოციქული: „ასე, ძვირფასო და-ძმანო, ამ წუთებში ცოტა ხნით უნდა შევწყვიტო ქადაგება. ვიყურები სარკეში და მერე? თქმაც არ უნდა - საკუთარ თავს ვხედავ: ეს კაცი ბერდება. წინა წლის სექტემბერში 65 წლის გავხდი და გადავწყვიტე, რომ მომავალ წელს, 2026 წლის სულმოფენობაზე, პენსიაში გავალ. მაშ, დადგა დრო, ახლავე, ერთი წლით ადრე, ჩემი შემცვლელი დავნიშნო. წარმოიდგინეთ, ეს არც ისე მარტივი საქმეა. დიდხანს ვლოცულობდი, ჭიდილიც კი მქონდა ღმერთთან, რომ ეჩვენებინა კაცი, რომელიც მან ამოირჩია, რამეთუ ის ჩვენი პირველმოციქული გახდეს. ვიცი, ბევრი მოციქული და და-ძმა ევედრებოდა ამას ღმერთს და ჩემთან ერთად ლოცულობდა. ძვირფასო მოციქულებო, ძვირფასო და-ძმანო, ღმერთმა შეისმინა ეს ლოცვა. დღეს შემიძლია სრულიად დარწმუნებულმა გამცნოთ, თუ ვინ ამოირჩია ღმერთმა იმისათვის, რომ ჩვენი პირველმოციქული გახდეს. ეს არის სამხ. მოციქულის თანაშემწე ჰელგე მუჩლერი, ჩრდილო და დასავლეთ გერმანიის სამხარეო ეკლესიიდან. მას დღეს პირველმოციქულის თანაშემწედ დავნიშნავ. და თუ უფალი მანამდე არ მოვა და მე კიდევ ცოცხალი ვიქნები, მომავალ წლის სულთმოფენობაზე კეიპტაუნში, სამხრეთ აფრიკაში, მას პირველმოციქულად ვაკურთხებ ხელდასხმით. სამხ. მოციქულის თანაშემწე მუჩლერი ლაპარაკობს გერმანულად, ინგლისურად და ფრანგულად. წარმოიდგინეთ, როგორ გრძნობს იგი ახლა თავს. ძვირფასო და-ძმანო, თუ ახლა ყველა და-ძმა მსოფლიოში მოკლე ლოცვას აღავლენს ღვთის მიმართ და ეტყვის მას: 'დაეხმარე', მჯერა, რომ ეს ლოცვა იმოქმედებს. ის დარწმუნდება ამაში, ჩვენ კი ვიგრძნობთ. "

სამხ. მოციქულის თანაშემწე მუჩლერი: „ძვირფასო ძმებო და დებო, ძვირფასო სტუმრებო და მეგობრებო, მთავარი სწორედ ის არის, რომ მთელ დედამიწაზე ერთობლივად აღვავლენთ უფლის სადიდებელ საგალობელს. ჩემს მიმართ ნათქვამი სიტყვები მოკლედ მინდა ჩამოვაყალიბო, დღეს ხომ სულთმოფენობაა. ეს ღვთის მოწოდებაა და მე მას სრულიად ვენდობი და მართლა მიხარია, რომ პირველმოციქულის მხარდამხარ და ყველა თქვენთაგანთან ერთად მთელ მსოფლიოში ვივლი რწმენის გზაზე, ვიდრე ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მოსვლამდე.

ძირითადი აზრები

- სულიწმიდა სიმართლეს გვეუბნება ღმერთზე.
- სულიწმიდა სიმართლეს გვეუბნება ჩვენზე.
- ის გვეხმარება, რომ ქრისტეს ჭეშმარიტი მოწმენი გავხდეთ.

იესოს დაბადება

ლუკ. 2, 1-20-ის მიხედვით

გაბრიელ ანგელოზი ნაზარეთში მიავლინეს. იქ ცხოვრობდა მარიამი, რომელიც იოსებზე იყო დანიშნული ...

გაბრიელი მივიდა მარიამთან და უთხრა: „ნუ გეშინია; შენ მადლი ჰპოვე ღმერთთან. ძე შეგეძინება, რომელსაც სახელად იესოს დაარქმევ. ის ღვთის ძეა.“
რამოდენიმე ხნის შემდეგ კეისარმა ავგუსტუსმა გასცა ბრძანება, რომ მისი ქვეყნების ყველა მაცხოვრებელი აღეწერათ.
ამ მიზნით ყველა იმ ქალაქში უნდა წასულიყო, საიდანაც მისი ოჯახი იყო წარმოშობით. იქ მათ აღრიცხავდნენ და ჩაწერდნენ. მარიამი იოსებთან ერთად ამ უკანასკნელის მშობლიურ ქალაქ ბეთლემისკენ გაეშურა. როცა ბეთლემში მივიდნენ, მარიამმა და იოსებმა ვერ ნახეს ადგილი სასტუმროში. ქალაქი ხალხით იყო სავსე. იესო დაიბადა. მარიამმა ჩვრებში შეახვია იგი და ბაგაში მიაწვინა.
მწყემსები ღამით მინდვრად

იყვნენ და „დარაჯობდნენ
თავიანთ სამწყსოს.“
უეცრად ინათა - დღესავით
განათდა. მათთან ანგელოზი
მივიდა; მწყემსებს ძალიან
შეეშინდათ.
მაგრამ ანგელოზმა უთხრა:
„ნუ გეშინიათ! დღეს
ბეთლემში მაცხოვარი
დაიბადა, ქვეყნის
გადამრჩენელი! თქვენ
იპოვით ჩვილს ჩვრებში
გახვეულს და ბაგაში
მწოლიარეს.“
ამ დროს ანგელოზთან
ციური ლაშქარი მივიდა
და საგალობელი აღავლინა:
„დიდება მაღალთა შინა
ღმერთსა, მშვიდობა ქვეყნად და
კაცთა შორის სათნოება.“
ანგელოზები ზეცაში
დაბრუნდნენ. მწყემსებმა
გადაწყვიტეს: „მოდით, წავიდეთ
ბეთლემში და ვნახოთ, რა
მოხდა. მოვძებნოთ მაცხოვარი.“
ისინი ქალაქში მივიდნენ და
ნახეს მარიამი, იოსები და ბაგაში
მწოლიარე ყრმა.
მწყემსები ყველგან ჰყვებოდნენ
იმას, რაც ანგელოზმა ყრმის
შესახებ უთხრა. მერე კი თავიანთ
სამწყსოს დაუბრუნდნენ.
მათ ადიდეს ღმერთი და მადლი
შესწირეს მას იმისათვის, რაც
მოისმინეს და ნახეს.



წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 12. 2024 წ., ილუსტრაციები: მირელა ფორტუნატი

სტუმრად ჯოშუასთან გერნზის კუნძულზე (ნორმანდიის კუნძულები)

ჩვენ ოთხსულიანი ოჯახი ვართ: დედაჩემი ლინი, მამაჩემი ერნსტი, ჩემი და დანიელა და მე. უკანა ფონზე სენტ-პიტერ-პორტის საშობაო განათებას ხედავთ. დედაჩემი ადრე ოპტიკოსის ასისტენტად მუშაობდა, მამაჩემი აუდიტორია. ჩემი და იმავე სკოლაში დადის, სადაც მე, და 10-ე კლასშია.

ჩემი სახელია ჯოშუა და 13 წლის ვარ. ვცხოვრობ გერნზის კუნძულზე, რომელიც ლა-მანშის სრუტეში, საფრანგეთის სანაპიროსთან მდებარეობს. ლა-მანშის კუნძულები ინგლისის მეფის გვირგვინის მიწების საკუთრებაა, მაგრამ არ შედის დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში. გერნზის ავტონომიური ერთეული შედგება გერნზის, ოლდერინის, სარკის, ჰერმისა და რამდენიმე სხვა პატარა კუნძულისგან. დედაქალაქია სენტ-პიტერ-პორტი. გერნზის კუნძულზე დაახლოებით 60 000 ადამიანი ცხოვრობს. მე ბევრი მეგობარი მყავს და აქაურობა ძალიან მომწონს.

ნორმანდიის სხვადასხვა კუნძულების მაცხოვრებლებს ცხოველების სახელები აქვთ მეტსახელად. ჩვენ, გერნზის კუნძულზე, „les ânes“-ს - ვირს გვიწოდებენ. მე მგონი, ეს იმას უკავშირდება, რომ სენტ-პიტერ-პორტის ქუჩები ძალიან ციცაბოა და მძიმე ტვირთის გადასატანად ზოგჯერ ვირებს იყენებენ. გერნზის მაცხოვრებლები ამ მეტსახელს ძალის სიმბოლოდ აღიქვამენ - იმ დროს, როდესაც მეზობელ კუნძულ ჯერსის მაცხოვრებლები მას სიჯიუტეს უკავშირებენ.

მე 9-ე კლასში ვარ და ძალიან კარგი მასწავლებლები მყავს. თითქმის სპორტის ყველა სახეობა მიყვარს, მაგრამ ჩემი საყვარელი სპორტი ფეხბურთია. ახლახან ვარჯიში დავიწყე კლუბში. ჩემს ოჯახთან ერთად სიამოვნებით ვთამაშობ დომინოს, ან ჩოგბურთს - მამაჩემთან და ბიძასთან ერთად.

შინაური ცხოველების ყოლა აქ, სამწუხაროდ, არ შეგვიძლია. სამხრეთ აფრიკაში, სადაც დავიბადე, მყავდა შერეული ჯიშის ძაღლი, სახელად სალი. ის ძალიან მენატრება. კეიპტაუნში გადაღებულ ფოტოზე თქვენ ხედავთ ჩემს დიდ ბებია მა მარჯის და ჩემ ბებია ვივიენს.

ჩემი საყვარელი საჭმელია პიცა და სულ მშია. გერნზის კუნძულზე სწრაფი კვების ქსელები არ არის.

ყოველი თვის 1. და 3. კვირადღეს ღვთისმსახურებას ვატარებთ ქრისტიანულ ცენტრში, სახელწოდებით Les Cotils. ეკლესიის საკუთარი შენობა არ გვაქვს. ჩვენს თემში შვიდი წევრი და ერთი მღვდელია. დიდი განსხვავებაა კეიპტაუნთან შედარებით, სადაც ბევრი დიდი თემია. გუნდი მთელი ჩვენი თემისგან შედგება, მე ახლა ბლოკფლეიტაზე დაკვრას ვსწავლობ.

სურათზე კონფირმანდების მასწავლებელთან ერთად ვარ, ჩანს ასევე დანიელაც მისი კონფირმაციის დღეს. მომავალ წელს მეც მექნება კონფირმაცია.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა XXX; ფოტოები: ბორჯი allard1; mizina; Eric Isselée; dbrnjhrj; allard1 - stock.adobe; Illu: freepik.com



ილუსტრაციები: ბავლო სოვაჯი/stock.adobe

მონანიება - მოქცევა ხსნის გზაზე

ეს სიტყვა ჟღერს როგორც სინდისის ქენჯნა და სირცხვილის გრძნობა. მაგრამ „მონანიების“ დროს სინამდვილეში საქმე ეხება პრობლემის გაცნობიერებასა და რეორიენტაციას, რაც სრულიად აუცილებელია ყველასათვის, ვისაც მიზანთან მისვლა სურს. სწორედ ამას განმარტავს პირველმოციქულის მოძღვრებითი წერილი.

სულთმოფენობის დროს წარმოთქმულ სიტყვაში პეტრე მოციქული იუწყებოდა, რომ იესო ქრისტე ღვთისგან მოვლენილი მაცხოვარია თავისი ხალხის გადასარჩენად. შემდეგ მსმენელებს აუხსნა, თუ რა უნდა ექნათ, რომ ხსნა მოეპოვებინათ: „მოინანიეთ და ყოველი თქვენგანი მოინათლოს იესო ქრისტეს სახელით ცოდვების მისატევებლად, და მიიღებთ სულიწმიდის ნიჭს“ (საქმე 2, 38).

ხსნა ძველ აღთქმაში

იესოს მიერ შეთავაზებული ხსნა განსხვავდებოდა იმისგან, რისკენაც ისრაელის ხალხი ისწრაფოდა. ძველი აღთქმის ეპოქაში ღვთის სმოსავი იუდეველები, უპ, ყოვლისა, იმის მოლოდინში იყვნენ, რომ ღმერთი მშვიდობასა და კეთილდღეობას ამქვეყნად მიანიჭებდა მათ. მათი შეხედულება ხსნაზე მათ ისტორიას უკავშირდებოდა. ღმერთი ჩაერია, რამეთუ ისრაელი ეგვიპტის ტყვეობიდან გაეთავისუფლებინა. მერე ისინი იმ ქვეყანაში მიიყვანა, სადაც თაფლი და რძე მოედინებოდა. ღვთიური ჩარევა თავისუფალი აქტი იყო და იგი მარტო სიყვარულს ეფუძნებოდა. სანაცვლოდ კი ღმერთი თავისი ხალხისგან მისი რჯულის დაცვას ითხოვდა.

მოგვიანებით ბევრი დაპირისპირება და ომი იყო, ბოლოს - ომში დამარცხების შემდეგ - ხალხის ერთი ნაწილი ბაბილონში იქნა გადასახლებული. წინასწარმეტყველნი ამ გადასახლებას ღვთის ნებისადმი დაუმორჩილებლობით ხსნიდნენ. გაძევებულებს ისინი მონანიებისკენ მოუწოდებდნენ. თუ ისინი განწყობას შეიცვლიდნენ და რჯულს აღასრულებდნენ, მაშინ ღმერთი მათ სასარგებლოდ ჩაერეოდა. ისინი თავიანთ ქვეყანაში დაბრუნებას და მშვიდობასა და კეთილდღეობაში ცხოვრებას შეძლებდნენ.

იესოს პერიოდში ბევრ იუდეველს მესიის მოსვლის იმედი ჰქონდა, რომელიც მათ რომაელთა უღლისგან გაათავისუფლებდა და ისრაელს ძველ ბრწყინვალებას დაუბრუნებდა

უფრო მარტივად რომ ვთქვათ, იესოს პერიოდის იუდეველები უფლის მიერ მათ გადარჩენას ასე უყურებდნენ:

- უფალი პირდაპირ ჩაერეოდა, რამეთუ მტრებისგან დაეხსნა ისინი და
- რჯულის დამცველებს ღვთიური მშვიდობითა და მატერიალური კეთილდღეობით ცხოვრების შესაძლებლობას მისცემდა

ხსნა ახალ აღთქმაში

იესოს მიერ შემოთავაზებული ხსნა, უპ, ყოვლისა, სულიერ ბუნებას ატარებს. ღმერთი ისტორიაში მისი ძის ამქვეყნად მოვლინებით ჩაერია. ქრისტემ ნებაყოფლობით გაიღო სიცოცხლე მსხვერპლად, რათა ადამიანები ცოდვის უღლისგან გაეთავისუფლებინა. იგი იმათ მიუტევებს, ვისაც სწამს მისი და ინანიებს. მორწმუნეებს ის საუკუნო სიცოცხლეს ანიჭებს. საუკუნო სიცოცხლეში ღმერთთან სრული თანაზიარება იგულისხმება ახალ შემოქმედებაში.

ხსნა ღვთიური მადლი და წყალობაა, მის დამსახურებას ვერავინ შეძლებს (ეფეს. 2, 4-9). თუმცა ამის წინაპირობა ისაა, რომ ადამიანი მუდმივად ცდილობდეს მისთვის მინიჭებული წყალობა ღირსეულად გაამართლოს (ფილიპ. 2, 12). მონანიება ამ სულიერი მცდელობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

ხსნის წინაპირობა

პეტრე მოციქულმა აუხსნა ხალხს, რომ მათ, ვინც იწამა, უნდა მოინანიონ, რამეთუ მონათვლა შეძლონ. ამით იგი იესო ქრისტეს მოძღვრების ორ მნიშვნელოვან პუნქტს ეხება:

- „მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოებულია ცათა სასუფეველი“ (მათ. 4, 17);
- „ვინც არ დაიბადება წყლისა და სულისგან, ვერ შევა ღმრთის სასუფეველში“ (იოან. 3, 5).



ცნება „მონანიება“ მოიცავს როგორც სინანულს, ასევე მოქცევას. ცოდვილმა უნდა გააცნობიეროს მისი დანაშაული, მოინანიოს იგი (ე. ი., მორალურად დაიტანჯოს), დაუბრუნდეს ღმერთს, შეიცვალოს ზრახვები და ისე მოიქცეს, როგორც ეს ღვთის ნებას შეესატყვისება.

მონანიება ნათლობის წინაპირობაა - იმისათვის, რომ მემკვიდრეობითი ცოდვებისგან გათავისუფლდეს, ცოდვილი უნდა განუდგეს ბოროტს, იწამოს იესო ქრისტე და დაიფიცოს, რომ მისი მორჩილი იქნება.

მონანიება ასევე აუცილებელია ინდივიდუალური ცოდვების მიტევების მისაღწევად. იმისათვის, რომ ღვთისმსახურებაზე ნაუწყები შენდობითი ლოცვა („მამაო ჩვენო“) სრულად ამოქმედდეს, უნდა მოვინანიოთ და მოვიქცეთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა გავაცნობიეროთ ჩვენი შეცდომები, მოვინანიოთ და გულწრფელად გადავწყვიტოთ შეცვლა და იმ უსამართლობის გამოსწორება, რომელიც ჩავიდინეთ.

ღმერთი ყოველ ღვთისმსახურებაზე გვთავაზობს მიტევებას და ჩვენ მადლობლები ვართ მისი ამისთვის. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ამ სიხშირემ ეს პროცესი შეიძლება, გარკვეულწილად, ბანალური გახადა. რომელი ჩვენთაგანი გაბედავს იმის მტკიცებას, რომ ყოველ ჯერზე, როცა შენდობით ლოცვას ისმენს, აბსოლუტურად მზად არის მონანიებისთვის? ეს ფაქტი თავისთავად დრამატული არ არის, ვინაიდან ის ჩვენს ცოდვილ ბუნებაშია ფესვგადგმული. თუმცა მნიშვნელოვანი ის არის, რომ გავაცნობიეროთ ეს საფრთხე და ამასთან დაკავშირებით რეგულარულად შევამოწმოთ საკუთარი თავი.

მოქცევისა და მონანიებისკენ მოწოდება სახარების უწყების და, ამდენად, მოციქულობის მისიის არსებითი შემადგენელი ნაწილია. აქ ლაპარაკი ერთმორწმუნე და-ძმებში დანაშაულის გრძნობის გაღვიძებაზე ან მათ დაკნინებაზე კი არ არის, არამედ სიყვარულითა და თავმდაბლობით უნდა გავაგებინოთ მათ, თუ რას მოელის უფალი ჩვენგან.

ახალი ქმნილების წინაპირობა

მონანიება და მოქცევა განუყოფლად არის დაკავშირებული ასევე შინაგან განახლებასთან, ახალი სიცოცხლის განვითარებასთან, რომელიც მივიღეთ. პავლე მოციქული შეგვაგონებს: „განწმიდეთ ძველი საფუარი“ (1. კორ. 5, 7). ეს მტკივნეული გამოცდილება უკვე ბევრმა მღვდელმსახურმა მიიღო: როცა ძმებსა და დებს ველაპარაკებით, გასაგები ხდება, რომ წლების განმავლობაში ისინი ერთსა და იმავე ისტორიებს იხსენებენ და, რომ ეს „ძველი საფუარი“ მთელ მათ სარწმუნოებრივ ცხოვრებას ამძიმებს. მათი განსჯა ჩვენს კომპეტენციაში არ შედის, ჩვენ უნდა დავეხმაროთ მათ და ვუთხრათ: „მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოებულია ცათა სასუფეველი!“ შევეცადოთ, გავაგებინოთ, რომ „ძველი საფუარი“ მავნებელია და მისი მოშორება აუცილებელია. ეს თემა ხშირად დელიკატურია, პროცესი კი - რთული. მაგრამ ძმებისა და დებისადმი ჩვენი სიყვარული ფარ-ხმლის დაყრის საშუალებას არ გვაძლევს.

ბოროტთან ბრძოლის გზა

არის რა სულიწმიდის ნაყოფი, რომელიც მივიღეთ, მოყვასის სიყვარული ადამიანური ტანჯვის მიმართ მგრძნობიარეს გვხდის. ჩვენ ლოცვით ვშუამდგომლობთ ტანჯულებს. ვთხოვთ ღმერთს, რომ ადამიანები და შემოქმედება ბოროტისგან იხსნას. ღმერთი იწყნარებს ამ ლოცვებს, ვინაიდან კაცობრიობის გადარჩენა სურს.

თუმცა ღმერთი ხშირად ისე არ ერევა შექმნილ მდგომარეობაში, როგორც ეს მორწმუნეებს წარმოუდგენიათ. მაგ., ის არ იყენებს თავის ყოვლისშემძლეობას იარაღის დასადუმებლად, უსამართლობის დასასრულებლად და ხანგრძლივი

მშვიდობის დასამყარებლად. ის მას არც იმისთვის იყენებს, რომ აიძულოს ყველა, დაიცვან მისი მცნებები.

ღვთიური ხსნის საქმეების მიზანია, რომ ახალ შემოქმედებაში ყველა ადამიანმა მასთან და ურთიერთშორის თანაზიარებაში ცხოვრება შეძლოს. ხსნის გეგმის თანამედროვე ფაზაში მოწოდებულ ადამიანებს ის იმისათვის ამზადებს, რომ მათ, როგორც პირმშოებმა, ამ თანაზიარებას მიაღწიონ, ხოლო მერე, ათასწლიან მშვიდობის სამეფოში, თავიანთი წვლილი შეიტანონ ყველა დანარჩენის ხსნაში.

აქედან დასკვნა: ჩვენთვის, წყლისა და სულისგან ხელახლა შობილთათვის, კაცობრიობის ხსნაში წვლილის შეტანის საუკეთესო გზა „მოქცევაა“, ძველი ადამის სიკვდილისათვის გადაცემა, რამეთუ ქრისტეს ხატის მსგავსნი გავხდეთ. ასე შევძლებთ „ველოდოთ“ და „ვესწრაფოთ“ (შევ. 2. პეტ. 3, 11-13) კაცობრიობის საბოლოო ხსნას.

მოქცევა და მონანიება პიროვნულ ცნობიერებას მოითხოვს. ჩვენი ბუნებრივი მიდრეკილებაა, დავიჩივლოთ ყველა იმ ბოროტებაზე, რაც მსოფლიოში ხდება. მაგრამ არც ჩვენ ვართ უდანაშაულო მსხვერპლი. თვითეული ჩვენთაგანი ამ პრობლემის ნაწილია! რა თქმა უნდა, კრიმინალები არ ვართ. თვისთავად ცხადია, რომ ჩვენი მიზანია, პატივი ვცეთ ღვთის ნებას და საერო კანონებს. დიახ, ბევრი ადამიანია, ვინც გაცილებით ცუდად იქცევა, ვიდრე ჩვენ! მაგრამ ვაღიაროთ, რომ საკმაოდ შორს ვართ სრულყოფილებისგან! გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი შეცდომებით ჩვენც ხელს ვუწყობთ ბოროტის ძლიერებას.

აქაც არ არის ლაპარაკი იმაზე, რომ სინდისმა ან სირცხვილმა შეგვაწუხოს. უბრალოდ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა ჩვენთაგანი ნაწილობრივ მაინც არის პასუხისმგებელი ამ პრობლემაზე. და ისიც უნდა გვესმოდეს, რომ ამ პრობლემის მოგვარებაც ჩვენი საქმეა. ჩვენ შეგვიძლია ხელი შევუწყოთ სიტუაციის გაუმჯობესებას იმით, რომ შევიცვალოთ აზრები და ზრახვები და ქცევა, რამეთუ სულ უფრო მეტად დავემსგავსოთ ქრისტეს. რაც უფრო მეტად დავემსგავსებით მას, მით ნაკლებ პრობლემებს შევუქმნით სხვებს!

მოგვიწოდებს და წარგვმართავს რა სულიწმიდა მონანიებისკენ, ამით სურს ჩაგვინერგოს, რომ ჩვენ ამ პრობლემის არა მარტო ნაწილი ვართ, არამედ მისი მოგვარებაც ჩვენი საქმეა! ეს ყველა ფენას ეხება: ქორწინებას, ოჯახს, თემს, საზოგადოებას ...

როგორც უკვე ვთქვით, მონანიებისა და მოქცევისკენ მოწოდება სახარების უწყების არსებითი შემადგენელი ნაწილია. და ამდენად, ეკლესიის ამოცანა. უფალი თავისიანებს იმისათვის არ მიავლენს, რომ თანამედროვეებს ზნეობრივი ქადაგება წაუკითხონ. ის ჩვენგან იმას მოელის, რომ საკუთარი მაგალითის საფუძველზე ვიქადაგოთ მონანიება!

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: სიმონ ჰაინიგერი

რა ხდება ეკლესიაში ამჟამად

რაღაც ხდება: სამხ. მოციქულთა კრებას მაინცში (გერმანია) უამრავი პროექტი ჰქონდა დღის წესრიგში - რომლის მიზანიც სასულიერო პირების, პედაგოგების, მუსიკოსების და ეკლესიის ცხოვრების ერთობლივი გაძლიერება იყო.

სამხ. მოციქულთა საერთაშორისო კრება მაინცში (გერმანია): სამხ. მოციქულები და მათი თანაშემწეები ყურადღებით უსმენენ

ფოტოები: ფრანკ შულტეი

მთავარი ამოცანა: სასულიერო თანამდებობით განპირობებული უფლებამოსილება თავის გავლენას არ უნდა ახდენდეს ეკლესიის ხელმძღვანელობაზე. ამას პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა არაერთხელ გაუსვა ხაზი ცხადად და გარკვევით: „ჩვენ უნდა შევძლოთ ხალხის დარწმუნება“, - მოითხოვს იგი.

იმას, თუ როგორ შეიძლება ამის მიღწევა, გვიჩვენებს სახელმძღვანელო „მსახურება და ხელმძღვანელობა ახალსამოციქულო ეკლესიაში“. ის მთელ მსოფლიოში მოქმედებს და ხელი უნდა შეუწყოს ეკლესიის ერთიანობას მოყვასის ქრისტიანული სიყვარულით, ურთიერთგაგებითა და ურთიერთპატივისცემით - ასე ახსნა ეს სამხ. მოციქულმა თომას დოიბელმა (შვეიცარია).

ახალი სახელმძღვანელო თანაარსებობისათვის

ეს 18 გვერდიანი დოკუმენტი კი 2001 წლით თარიღდება. მას მერე ბევრი რამ შეიცვალა: გამოიცა კატეხიზმო, თავიდან იქნა განსაზღვრული სასულიერო თანამდებობის გაგება, შემოღებულ იქნა ქალების ორდინაცია. გასაკვირი არ არის, რომ ეს სახელმძღვანელო 2024 წლის სამხ. მოციქულთა კრებაზე, რომელიც განაში ჩატარდა, თავიდან დადგა დღის წესრიგში. მას შემდეგ სამხ. ეკლესიებმა ცვლილებასთან დაკავშირებული უამრავი წინადადება შეიტანეს. ისინი ერთ პროექტში იქნა გაერთიანებული, რომლის განხილვაც მიმდინარეობს. გადამუშავებული ვერსია მალე უნდა იქნას წარდგენილი.

ეკლესიის ახლიდან გააზრება

დღის წესრიგში თემში ცხოვრებაც იდგა. „მომავლის ეკლესია“ - ასე ჰქვია ევროპის სამხ. მოციქულთა კრების საპროექტო ჯგუფს, რომლის ნაშრომიც ახლახანს წარედგინა კოლეგებს მსოფლიო მასშტაბით. აქ საქმე ეხება ისეთ კითხვებს, როგორიცაა: ზუსტად რას ვგულისხმობთ ეკლესიაში? როგორ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი განვითარება ეკლესიის

პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი სამხ. მოციქულებისა და მათი თანაშემწეების წრეში

ცხოვრებაზე? რა უწყობს ხელს თემების დაარსებას, აღშენებას და შენარჩუნებას? სამხ. მოციქულმა შტეფან პიოშელმა (დასავლეთ გერმანია) ამასთან დაკავშირებით სიღრმისეული ანალიზი მოგვაწოდა.

მასალის ნაწილი უკვე გამოქვეყნდა - 1/2025 წლის ძირითადი აზრების სპეც. გამოშვებაში სათაურით „ქრისტიანული თემის არსი და ამოცანა სულიერი თვალსაზრისით“. ამას შემდეგი პუბლიკაციები მოჰყვება.

სახელმძღვანელოები, საგალობლები და ძირითადი აზრები

საერთაშორისო ახალსამოციქულო ეკლესიის საპროექტო ჯგუფების მიმდინარე სამუშაოები სიმონ ჰაინიგერმა მიმოიხილა, პროექტების მართვის ხელმძღვანელმა.
ამაში შედის:

- „ძირითადი აზრების“ შედგენის სამუშაო პროცესის ანალიზი;
- ახალი სასწავლო მასალა რელიგიის გაკვეთილებისათვის - მალე იქნება ასევე ინგლისურად, ფრანგულად და ჰოლანდიურად;
- კონფირმანდების გაკვეთილების გადამუშავება თარგმანთან ერთად;
- კორპორატიული დიზაინის სახელმძღვანელოს განახლება და სოციალური მედიის ინსტრუქციები;
- ელექტრონული ფურცელი - ნოტებთან ერთად - საგალობელთა კრებულიდან, საგუნდო კრებულიდან და ახალგაზრდებისათვის განსაზღვრული სიმღერების კრებულიდან ევროპის მასშტაბით
- და ახალი ლექციები სასულიერო პირთათვის ელექტრონული სწავლების პორტალში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თემაა კატეხიზმოს გადამუშავება. მისი გამოცემიდან (2012/2013 წწ.) ბევრი რამ გაკეთდა: შეიქმნა სასულიერო თანამდებობის ახალი სტრუქტურა, შემოღებულ იქნა ქალების ორდინაცია, გამოიცა დაახ. 40 დამატებითი მოძღვრებითი პუბლიკაცია.

რამდენიმე ორკაციანმა გუნდმა უკვე დაამუშავა შინაარსები და მოახდინეს შესაძლებელი კორექტირების იდენტიფიცირება. აქამდე 450-ზე მეტი კომენტარი შეგროვდა - მიმდინარეობს მათი შემოწმება. მომდევნო ეტაპზე სათაურები უნდა დამუშავდეს და შედგეს პირველი პროექტები. ზუსტად როდის გამოქვეყნდება გადამუშავებული ვერსია, ჯერ კიდევ დაუდგენელია.

ფოტოები: საერთაშორისო ახალსამოციქულო ეკლესია

სამხ. მოციქულის ყოფილი თანაშემწე ჰელგე მუჩლერი სულთმოფენობაზე პირველმოციქულის თანაშემწედ დაინიშნა

სიყვარულით. ნდობით. ღმერთთან ერთად

ძალაუფლება კი არა, არამედ სიყვარული და სიახლოვე ადამიანთან: პირველმოციქულის თანაშემწემ თავის პირველ საუბარში აჩვენა, თუ როგორ ფიქრობს, რას გრძნობს - და რისი სწამს.

გუშინდლიდან ეს უკვე გადაწყვეტილია! ჰელგე მუჩლერის პირველმოციქულის თანაშემწედ დანიშვნით ახალსამოციქულო ეკლესიას პირველმოციქულ ჟან-ლუკ შნაიდერის მემკვიდრე, მისი საქმის გამგრძელებელი, ჰყავს. ორდინაციამდე, რომელიც 2026 წლის სულთმოფენობაზე შედგება, მას ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი - დრო მსოფლიოში გავრცელებული ეკლესიის გასაცნობად. ასევე დრო, რამეთუ თემმა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მისი გაცნობა შეძლოს. სიმონ ჰაინიგერთან, საერთაშორისო ახალსამოციქულო ეკლესიის კომუნიკაციების განყოფილების ხელმძღვანელთან, საუბარში მან წინასწარ დაუსვა საკუთარ თავს პირველი კითხვები - გულღიად, გულწრფელად და გულის ფანცქალით.

სიმონ ჰაინიგერი: ძვირფასო მოციქულო, დასაწყისისთვის რამოდენიმე ფაქტი. თქვენ ახალსამოციქულო ეკლესიის 875-ე მოციქული ხართ და დაახ. ერთ წელიწადში მეათე პირველმოციქულად იქნებით ორდინირებული. მაშინ თქვენ მეათედ იტყვით „დიახ“ სასულიერო თანამდებობაზე ანუ დავალებაზე. შეგიძლიათ გაიხსენოთ თქვენი პირველი „დიახ“?

პირველმოციქულის თანაშემწე ჰელგე მუჩლერი: დიაკვნის თანაშემწე რომ უნდა გავმხდარიყავი, ვიცოდი. იმჟამად, 1994 წლის შემოდგომაზე, სამხ. ხუცესი მესტუმრა ჩემი მშობლების სახლში, ფროიდენშტადტში. ვიცოდი, რომ ცოტა ხნის შემდეგ ჰანოვერში გადავიდოდი სასწავლებლად. ამიტომაც ვუთხარი: „ჰანს, მალე ჰანოვერში მივდივარ სასწავლებლად, სასულიერო თანამდებობის მიღებას აქ არანაირი აზრი არა აქვს.“ ჯერ კიდევ კარგად მახსოვს მისი რეაქცია. წამოიძახა: „სასულიერო თანამდებობა სასულიერო თანამდებობაა.“ (იცინის) დღევანდელი თვალსაზრისით, ეს შეიძლება ცოტა უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ამან ჩემი

პირველმოციქულის თანაშემწე ჰელგე მუჩლერი პირველმოციქულ ჟან-ლუკ შნაიდერთან საუბრისას

წინააღმდეგობა გატეხა - არა ამ სიტყვებმა, არამედ ვიგრძენი, რომ ამის უკან რაღაც დიდი იმალებოდა და უარის თქმა ახლა შეუძლებელი იყო.

რაც შეეხება სასულიერო თანამდებობის შემდეგ საფეხურებს, ნაბიჯი დიაკვნიდან მღვდლობამდე საგრძნობლად დიდი იყო, კარგად უნდა დავფიქრებულიყავი ამაზე, რასაც დრო დასჭირდა. თავიდანვე შევიგრძენი ჩემი „დიახ“, მაგრამ დრო მჭირდებოდა. კიდევ უფრო მეტი დრო დამჭირდა იმისათვის, რომ მოციქულობისკენ გადამედგა ნაბიჯი. მართალია, ღვთის მოწოდებას ვენდობოდი, მაგრამ ეს ყველაფერი იოლი არ იყო ჩემთვის. მე მქონდა სამსახური, რომელიც მომწონდა, მოციქულად გახდომა კი მთელ ცხოვრებას ცვლის. თუმცა ეს „დიახ“, რომელიც იესო ქრისტესა და პირველმოციქულის წინაშე დადებულ ერთგულების ფიცს უკავშირდებოდა, ღრმად შევიგრძენი და სათანადოდ გავაცნობიერე.

აი ასე ... ახლა კი, რაც შეეხება პირველმოციქულის თანაშემწის ფუნქციასთან დაკავშირებულ კითხვას ... (მოკლე პაუზა). შინაგანად მაშინვე ვიგრძენი, რომ ეს უზარმაზარი საქმეა. თუმცა, თუ პირველმოციქული ამ კითხვით მოდის ჩემთან, ეს ღვთისგანაა. მან ეს ლოცვით გამოითხოვა. მე სხვა შანსი არ მაქვს გარდა იმისა, რომ ღმერთს მივენდო. ამიტომ ვიღებ მას ... მე ამ მოწოდებას ძალიან მკაფიო შინაგანი „დიახ“-ით ვიღებ რწმენითა და ღვთისადმი ნდობით.

ბოლო 50 წლის განმავლობაში ჩვენმა ეკლესიამ ცვლილებები განიცადა. რომელი ძველი კარგი ტრადიცია არის თქვენთვის ძვირფასი - და რომელი განვითარება იყო თქვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი?

სასულიერო მზრუნველობა! სასულიერო მზრუნველობა ჩვენი ეკლესიის საყრდენი ბოძი იყო. მშვენიერი ტრადიციაა. და ნათლად შემიძლია წარმოვიდგინო, რომ ის კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცევა. ლაპარაკია ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე და მათ შენარჩუნებაზე. ვისურვებდი ..., რომ „სასულიერო მზრუნველობის ხალისი“ გაჩნდეს. რამეთუ ყველა სასულიერო პირისათვის ეს კარგი გამოცდილება შეიძლება იყოს. სასულიერო მზრუნველობა აერთიანებს. და სადაც ურთიერთკავშირია, იქ იწყება ზეციური ნუგეში და სიხარული.

რაც შეეხება განვითარებას, განსაკუთრებით პირველმოციქული ჰანს ურვილერი და პირადი პასუხისმგებლობა მახსენდება. ეს ძალიან მახარებს. მიხარია, რომ რწმენაზე უშიშრად საუბარი სულ უფრო მეტად არის შესაძლებელი. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რწმენაზე საუბარს მიკერძოების გარეშე და თანასწორ პირობებში. დღეს აღარ ვგრძნობ ზეწოლას ან მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს მორწმუნე ან რას უნდა ფიქრობდეს, არამედ სულ უფრო მეტია მიმღებლობა და იმის უფლება, იყოს მოწმუნე ისეთი, როგორიც არის, და მე ამას სასიკეთო განვითარებად მივიჩნევ.

ზოგისათვის ბევრი რამ სწრაფად ხდება, სხვებისათვის კი - ძალიან ნელა. ერთნი კითხულობენ: „ეს ჯერ კიდევ ჩემი ეკლესიაა?“ სხვები კი ასეთ კითხვას სვამენ: „შეიძლება ის

ღვთისმსახურება ერთ ერთმორწმუნე დასთან ერთად ილულისატში (გრენლანდია)

ოდესმე ჩემთვის მშობლიური გახდეს?“ მაშ, ვინ შეიძლება ან ვინ უნდა იყოს საერთოდ კმაყოფილი?
ჩემი მიზანი არ არის, ვინმეს „თავი მოვაწონოთ“. ეს არ არის არც ჩემი და არც მოციქულობის ამოცანა. ლაპარაკია ჭეშმარიტებასა და სიცხადეზე. ჭეშმარიტება კი არსებობს ... რა არის ჭეშმარიტება? იესო ქრისტე. ამ ჭეშმარიტების გარშემო არსებობს მრავალფეროვნება და ძალიან განსხვავებული პერსპექტივები, როგორც ყვავილების ფერადი მდელო: აი, ასეთი მრავალფეროვანი შეიძლება იყოს ერთობა, თანაზიარება. და რა კარგია, როცა ამის თქმა შეიძლება: მე გხედავ შენ, პატივს გცემ - მაშინაც კი, თუ განსხვავებული ხარ. რადგან მეც განვსხვავდები სხვისგან. და მე თვითონ მჭირდება, რომ სხვა ადამიანმა თქვას თავისი პერსპექტივიდან: „გაფასებ, ჰელგე, შენი განსხვავებული ბუნებით.“ ეს ჩემთვისაც კარგია. საკვანძო სიტყვა ერთიანობა თავისი მრავალფეროვნებით: უცხოეთში ხშირად აღფრთოვანებულნი ვართ იმ მრავალფეროვნებით, რაც სახლში პრობლემებს წარმოადგენს. როგორ მოვაგვაროთ ეს?

როგორც აღვნიშნე, „ყვავილების ფერადი მდელოს“ ფანი ვარ. თუმცა, მრავალფეროვნება მხოლოდ დიალოგის საშუალებით მუშაობს. დიალოგი განსხვავებების ერთად გადალახვას გულისხმობს, მათი აღმოფხვრის სურვილის გარეშე. დიალოგი გულისხმობს იმას, რომ მე ვაფასებ სხვების განსხვავებულობას.

ერთობას ხელს უწყობს ღმერთისა და მოყვასის სიყვარული, ასევე საერთო რწმენა და ჩვენი სარწმუნოებრივი პრინციპები, მეორედმომავალი იესოს მოლოდინი, მოციქულობა და აშ. ეს გვაერთიანებს. და თუ ამ კარგ დიალოგს შევინარჩუნებთ, ამ ერთობაში მრავალფეროვნებასაც შეიძლება მივაღწიოთ.

ყოფილა თუ არა სიტუაციები, როდესაც ემოციურად დაშორდით ღმერთს? როგორ „იპოვეთ უკან დასაბრუნებელი გზა“?
დიახ, მე ნამდვილად გამომიცდია ასეთი სიტუაციები. ჩემი ცხოვრების რთულ ეტაპზე შინაგანად დავშორდი ღმერთს და ვსაყვედურობდი მას. ეს რაღაც დრო გაგრძელდა და მერე მოხდა საოცრება. ვიგრძენი, რომ ეს ღმერთი, რომელსაც ზურგი ვაქციე, ჩემთან დარჩა. ვფიქრობდი, მე ისედაც ძალიან ძლიერი და ჯიუტი ვარ. მაგრამ ის ბევრად ჯიუტი აღმოჩნდა. (იცინის) ღმერთი არ მშორდება, ერთგულად არის ჩემს ცხოვრებაში. და ეს რომ გავაცნობიერე, მალე დადგა დღე, როცა მთელი გულით მივმართე მას, გაშლილი ხელებით ვიდექი ღმერთის წინაშე, შევცქეროდი მის დიდებულებას

წინა პლანზე სამხ. მოციქულის თანაშემწე მანდლა პატრიკ მხვანაცი, პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი და ამჟამინდელი პირველმოციქულის თანაშემწე ჰელგე მუჩლერი

და იობივით წარმოვთქვი: „პირზე მაქვს ხელი მიდებული ... და მეტს აღარ ვიტყვი“. სრულიად აღფრთოვანებული ვარ ღმერთით, მისი წყალობით ... და ეს ჯერ ისევ ასეა.

თქვენ იობი ახსენეთ ...
იმ პერიოდში იმდენჯერ წავიკითხე იობის წიგნი და შევეცადე, პასუხი მეპოვა მასში. ნამდვილად შემიძლია წარმოვიდგინო, თუ როგორ ცდებოდნენ იობის მეგობრები ... ნაადრევად განვითარებული, ეს ბრძენი მეგობრები. მისი მეგობრების დისკუსიიდან პასუხი ვერ მივიღე ... ვიდრე იობის წიგნის ბოლოს, რაღაც მომენტში, გონება არ გამინათდა. იობი იწვევს ღმერთს. ღმერთის რეაქცია ასეთია: „მაშ ასე, იობ, მე მოვისმინე შენი კითხვები. ახლა რამოდენიმე კითხვა მაქვს შენთან: ვინ შექმნა დედამიწა? ვინ შექმნა ვარსკვლავები? ამას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება.“ იობი დუმდა - თავმდაბლად. თუმცა ღმერთმა გააგრძელა. იობი ასე ადვილად ვერ დააღწევდა მას თავს. და მხოლოდ წიგნის ბოლოში ამბობს იგი: „ახლა ვიცი, ღმერთო, რომ შენ ყველაფერი ძალგიძს.“ დიალოგი დასრულდა, ის შემთხვევაც მოგვარდა. დიდი დრო დამჭირდა ამის გასაგებად. ტანჯვის პასუხი ისეთი მარტივი და თან ისეთი რთულია. ტანჯვის პასუხია: ღმერთი.

2021 წლიდან სამხ. მოციქულთა კრების წევრი ბრძანდებით. როგორი იყო პირველი შეკრება?
(იცინის) ეს ტექნიკური ტესტირება იყო პანდემიის დროს, სამხ. მოციქულთა ციფრულ კრებამდე სამი დღით ადრე. ერთი მეორის მიყოლებით მოციქულები მიკროფონებს რთავდნენ იმის შესამოწმებლად, მუშაობდა თუ არა ყველაფერი.

პირადი შეხვედრა ამის მერე, მართლაც,

როგორც სამხ. მოციქულის თანაშემწე ჰელგე მუჩლერი რამოდენიმეჯერ იყო მიწვეული სხვა სამხარეო ეკლესიების ახალგაზრდულ დღეზე

შთამბეჭდავი იყო. რა თქმა უნდა, მე დიდი პატივისცემით ვიყავი გამსჭვალული ამ ბრძენი და გამოცდილი ღვთისკაცების მიმართ. ამის შემდეგ პირველმოციქულმა კონკრეტულ თემებზე საუბარი შემოგვთავაზა და ჩვენი აზრით დაინტერესდა. ეს ნამდვილად ამაღელვებელი იყო ... მაგრამ, მეორე მხრივ, ძალიან გულითადი მიღება ვიგრძენი, სიყვარულით სავსე, რამაც შვება მომგვარა.

აქამდე ბევრი გიმოგზაურიათ და ღვთისმსახურებები ძალიან ვიწრო წრეშიც ჩაგიტარებიათ. მაგ., დაახ. ერთი წლის წინ გრენლანდიაში. 2023 წელს კი, პირიქით, პირველმოციქულთან ერთად კონგოში იყავით და თითქმის 30 000 მორწმუნესთან გქონდათ თანაზიარება. როგორ აღწერდით ამ სხვადასხვა გამოცდილებას?

გრენლანდიაში, ილულისატში, ჩემს თანმხლებლებთან ერთად მხოლოდ ერთი ერთმორწმუნე დისათვის ჩავატარე ღვთისმსახურება. ასეთი რამ ძალიან აახლოებს, ინტენსიური და ფამილარულია. წარმოუდგენლად კარგი და ამაღელვებელი იყო.

მეორე მხრივ, არის კანანგას მაგალითი კონგოში, სადაც 26. 000 ერთმორწმუნე და-ძმა შეიკრიბა, ანდა 2019 წლის საერთაშორისო ახალგაზრდული დღე. იქ თითქმის წამოუდგენელია ცალკეული ადამიანის გარჩევა. განსაკუთრებით დიდ დარბაზებში, სადაც საკურთხეველი ყოველთვის კარგად არის განათებული, რაც იმას განაპირობებს, რომ თავად მხოლოდ დიდ მასას ხედავ. იქ ძალიან ძნელია პირდაპირი კავშირი დაამყარო ცალკეულ პიროვნებასთან. მაგრამ - და ამას ყოველთვის ვგრძნობდი - ჰაერში რაღაც არის, კავშირი სულიწმიდის ძალის მეშვეობით ... ვერ ვიტყოდი, რომ ეს უფრო ანონიმურია. ასეთი რამის შექმნა მხოლოდ სულიწმიდას შეუძლია. მე ორივეს ვაფასებ.

ერთი მხრივ: მე ისეთი კარგი ვარ, როგორიც ვარ - ღვთის ხატი. მეორე მხრივ: მე ცოდვილი ვარ, ვინაიდან ყოველთვის არ ვასრულებ ღვთის ნებას. რამდენად შეთავსებადია ეს ორი პოზიცია ერთმანეთთან?

ეს შეუთავსებელია. ამბივალენტურობა არის ამბივალენტურობა, რომლებიც შეუთავსებელია. ისევე, როგორც ცეცხლი და წყალია შეუთავსებელი. მონანიებისა და ლოცვის დღეს, როგორც ყოველ ღვთისმსახურებაზე „მამაო ჩვენოს“ წინ, ისევ და ისევ ვცდილობთ, გავაცნობიეროთ, რომ ცოდვილები ვართ. ბოლომდე გახლართული ცოდვაში ... ყოველგვარი შანსის გარეშე, რომ თავად დავაღწევთ ამას თავს. მაგრამ, მეორე მხრივ, გამუდმებით ვაცნობიერებთ, რომ ღმერთი მოგვიტევებს. იმიტომ, რომ ღმერთს მოვწონვარ. ასე რომ, შესაძლოა, ეს მხოლოდ მოჩვენებითი წინააღმდეგობაა.

ღმერთი ერთმნიშვნელოვანია, ადამიანები კი, პირიქით, მრავალმნიშვნელოვნნი არიან. ხომ არ ვართულებთ ზოგჯერ ქრისტიანულ რწმენას? - თუ ასეა, მაშინ რამდენად მარტივია იგი სინამდვილეში?

ძირითადად მთელი ეს საქმე ძალიან მარტივია: ღმერთი სიყვარულია და სიყვარულში არ არის შიში. სრულყოფილი სიყვარული განდევნის შიშს. ეს რთული ფრაზები კი არ არის, არამედ საკმაოდ ღრმა ჭეშმარიტებაა. რთული არაფერია იმაში, რომ გვიყვარდეს უფალი და მოყვასი. მუდამ ამ მარტივ რწმენას უნდა დავუბრუნდეთ.

პროგრამა

05.10.2025 წ. ლიბერვილე (გაბუნი)
12.10.2025 წ. კარლსრუე (გერმანია)
19.10.2025 წ. კიჩენერი (კანადა)
02.11.2025 წ. ველმარი (გერმანია)
09.11.2025 წ. ბულახი (შვეიცარია)
16.11.2025 წ. სენტ-პიტერსბერგი (აშშ)
28.11.2025 წ. ჯეფრის ბეი (სამხრ. აფრიკა)
30.11.2025 წ. გკეზერჰა (სამხრ. აფრიკა)
07.12.2025 წ. ეზერბახი (გერმანია)
14.12.2025 წ. ჰამბურგი (გერმანია)
21.12.2025 წ. ბენსჰაიმი (გერმანია)
25.12.2025 წ. სტრაბურგი (საფრანგეთი)
28.12.2025 წ. აფოლტერნ ამ ალბისში (შვეიცარია)

New Apostolic Church
International